პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 36-ე წელი № 109 (10503) | პარასკევი, 11 მაისი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ადამიანის საკეთილდღეოდ

საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა გაზეთებში და რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შეაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი შეესაბამება მილიონობით საბჭოთა ადამიანის ინტერესებს, მას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. პროექტი მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი ხალხის ისტორიულ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში, რაც მიღწეულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ცხადყოფს სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობებს კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, — ნათქვამია კანონის პროექტში, — მოზღუდულია. შრომის უნარის დაკარგვისას და ავადმყოფობის შემთხვევაში მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის უფლება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვარია და განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით".

პრესამ და რადიომ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის შინაარსი გააცნეს ჩვენი საშობლოს ყველაზე შორეულ კუთხეებსაც. ყველგან იმართება ამ დოკუმენტისადმი მიძღვნილი მშრომელთა კრებები. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრები მხურვალედ განიხილავენ კანონის პროექტს. მიაჩნიათ, რომ ეს დოკუმენტი გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა ადამიანების აზრები და გრძნობები კარგად გამოთქვა მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარის" კოლექტივის მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში უხუცესმა მუშამ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე კამენსკიმ.

— ჩვენ, საბჭოთა მუშები, — თქვა მან, — მრავალი წლის განმავლობაში დავიწყნდით, რომ ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველაზე დიდი, ყველაზე მთავარი საზრუნავი. სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი, რომელსაც მე მხურვალედ მივესალმები, ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და სიმდიდრის ზრდას მოწმობს. დღეს ჩვენ პარტიასა და მთავრობას ვეუბნებით: სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს ჩვენთვის. ჩვენ კიდევ უკეთ ვიმუშავებთ, გავუფრთხილდებით ხალხის კაპიკს, ვადამდე შევასრულებთ მეექვსე ხუთწლიან გეგმას.

— ხაპენსიო საქმის ძირეულ გაუმჯობესებას პარტია და მთავრობა ახორციელებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანის ინტერესებისათვის, — განაცხადა აშხაბადის ხართავ.-საქსოვი ფაბრიკის მუშამ ამანგელდ მამედოვამ. — საბჭოთა სახელმწიფო წინათაც დიდ სახსრებს ახმარდა პენსიებით უზრუნველყოფას, ახლა კი ეს ზრუნვა კიდევ უფრო იზრდება. ავიღოთ ჩვენი ოჯახი. ქმარი ფრონტზე დამეღუპა. საბჭოთა სახელმწიფომ პენსიის დაწესებით დახმარება გამიწია, რომ მე, მუშა ქალს, შვილები აღმეზარდა. დაბალი თანრიგის პენსიების ოდენობის გადიდება საშუალებას მოგვცემს უკეთ აღვზარდოთ შვილები ისეთ ოჯახებში, როგორიც ჩემი ოჯახია. ამასთანავე ჩემი მოხუცებულობაც ახლა კიდევ უფრო უზრუნველყოფილი იქნება.

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ხალხის კეთილდღეობის საფუძველია სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი და მძლავრი აღმავლობა. ნაციონალური შემოსავლის ზრდა. ნაციონალური შემოსავალი, როგორც ცნობილია, ქვეყნის ეკონომიური განვითარების ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელი და საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის წყაროა. მეხუთე ხუთწლედის მანძილზე სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 68 პროცენტით გადიდდა. მეექვსე ხუთწლედში ეს შემოსავალი კიდევ დიდდება დაახლოებით 60 პროცენტით. ჩვენს ქვეყანაში პარაზიტული, ექსპლოატატორული კლასები არ არიან და მთელი ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებაა. ამ შემოსავლის სამი მეოთხედი ხმარდება მოსახლეობის პირად მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი გადიდდა 39 პროცენტით, ხოლო კოლმეურნეთა რეალური შემოსავალი—50 პროცენტით. სხვადასხვა დახმარების, პენსიების, უფასო სამედიცინო დახმარების, უფასო სწავლებისა და სხვა სოციალურ-კულტურული საჭიროებებისათვის სახელმწიფო ხარჯები მეხუთე ხუთწლედში შეადგენდა 689 მილიარდ მანეთს, ხოლო მეექვსე ხუთწლედში ეს ხარჯები დაახლოებით 970 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

პარტია და მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე ისეთ სიმაღლეზე აიყვანონ, რომელიც სოციალისტური წყობილების შესაძლებლობებს შეესაბამება. დიდი ლენინის მითითებათა შესაბამისად პარტია უზრუნველყოფს მთელი ჩვენი ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძვლის—მძიმე მრეწველობის უპირატეს ზრდას. ამასთანავე სწრაფი ტემპებით ვითარდება მხუბუქი და კვების მრეწველობა, მტკიცედ მიდის წინ სოფლის მეურნეობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია, რომ მოსახლეობის საგნების წარმოება მეექვსე ხუთწლედში გადიდდეს დაახლოებით 60 პროცენტით. ახალ ხუთწლედში საბინაო მშენებლობის მოცულობა მეხუთე ხუთწლედთან შედარებით თითქმის ერთიორად დიდდება.

პარტიის XX ყრილობამ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი კონკრეტული ღონისძიებანი დასახა მშრომელთა ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისა და მათი შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ სულ ორიოდე თვე გავიდა, და საბჭოთა ადამიანები უკვე ხედავენ, როგორ ხორციელდება პარტიის გადაწყვეტილებანი. 10 მარტიდან მშრომელები უქმე დღეებისა და დასვენების წინა დღეებში მუშაობენ არა 8 საათს, როგორც წინათ, არამედ 6 საათს. 1 აპრილიდან ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო შეეფუღება ეძლევათ 112 კალენდარული დღე ნაცვლად წინანდელი 77 დღისა. ხორციელდება ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებლად. და ეი კიდევ ერთი ახალი სახიხარულო მოვლენა — პენსიების საქმის ძირეული გაუმჯობესება. თავიანთი საშობლოსათვის სიამაყის გრძნობით კითხულობენ საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის მუხლებს.

„პენსიით უზრუნველყოფა, — ნათქვამია კანონის პროექტში, — გარანტიებულია სსრ კავშირში შექმნილი სოციალისტური წყობილებით. როგორც პირობებში სამუდამოდ მოსკოვილია ადამიანის ექსპლოატაცია. უმუშევრობა და მშრომელთა ურწმენობა ხვალინდელი დღისადმი. პენსიით უზრუნველყოფა საბჭოთა სახელმწიფოში ხორციელდება ორმხრივად: ეროვნულად სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრებით.

წარმატებანი სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში, რომელიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. საშუალებას იძლევიან ამყამად განხორციელდეს პენსიით უზრუნველყოფის საქმის შემდგომი გაუმჯობესება".

კანონის პროექტში განსაზღვრულია, რომ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება აქვთ მუშებსა და მოსამსახურეებს, სამხედრო მოსამსახურეებს, უმაღლესი სახსწავლებლების, საშუალო სპეციალური სახსწავლებლების, კადრების მოსამზადებელი სახსწავლებლების, სკოლებისა და კურსების მოსწავლეებს. სხვა მოქალაქეებს, თუ ისინი ინვალიდები გახდნენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნულ მოქალაქეთა ოჯახის წევრებს მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში. პროექტით გათვალისწინებულია პენსიების დანიშვნა მოხუცებულობის გამო, ინვალიდობის გამო და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში. პენსიების გაცემას სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ სახსრებით, რომელთა ასიგნება ყოველწლიურად ხდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრებით, ხელფასიდან რაიმე თანხის დაუქვითავად. პენსიები გადასახდელით არ იბეგრება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხაანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობისადმი აღნიშნულია, რომ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდა პენსიების საქმეს, რომ პენსიების ოდენობაში შეუწყნარებელი სხვადასხვაობა არსებობს, რომ მთელი რიგი კატეგორიების პენსიონერებისათვის დაწესებულია პენსიების მცირე ოდენობა, მაშინ როცა ზოგიერთი პირი, მათ შორის შრომისუნარიანი, ჯერ კიდევ არამოხუცებული ადამიანი, მაღალ პენსიას იღებს. სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს, რომელიც შემუშავებულია საბჭოთა მთავრობის მიერ, ძირეული გაუმჯობესება შეაქვს პენსიების საქმეში.

— მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოში არის შესაძლებელი პენსიით ასეთი უზრუნველყოფა, — განაცხადა საქალაქო მშენებლობის დაპროექტების ლატვიის სახელმწიფო ინსტიტუტის არქიტექტორმა ამმ. შვაბემ. — კანონის პროექტი კიდევ ერთი დიდი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ცხოვრების აყვავების იმ პროგრამის განხორციელების გზაზე, რომელიც პარტიის XX ყრილობამ დასახა. ეს კიდევ მეტ ძალღონეს გვმატებს, გვინერგავს ხალისს, რომ უკეთ და უკეთ ვიშრომოთ.

ყველა საბჭოთა ადამიანი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის პარტიისა და მთავრობის ახალი ზრუნვის პასუხად აცხადებს, რომ მზად არის თავდადებით იშრომოს სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

„პრავდის" 10 მაისის მოწინავე.

დარბაზობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოში

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკმა 9 მაისს დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა კულტურის მოღვაწენი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დარბაზობაზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

დარბაზობის დროს წარმოითქვა სიტყვები.

დარბაზობამ გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

მოსკოვი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების მე-11 წლისთავის დღეს, რომელიც ამავე დროს ფაშიზმის ძალებზე სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების გამარჯვების დღეა, ჩეხოსლოვაკიის ხალხის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის სახელით გიძღვნით თქვენ და მთელ საბჭოთა ხალხს მხურვალე ამხანაგურ სალამს.

ჩვენს ხალხს, რომლის საუკეთესო შვილები საბჭოთა გმირების მხარდამხარ ღვრიდნენ თავიანთ სისხლს ისტორიულ ბრძოლაში ნაცისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ, ამ საპახსოვრო დღეს კვლავ შეგნებული აქვს, რომ საბჭოთა ჯარების გაძარჯვებამ მას მოუტანა განთავისუფლება და მისცა შესაძლებლობა დასდგომოდა თავის საშობლოში ბედნიერი ცხოვრების მშენებლობის გზას. განვლილ 11 წელიწადში ჩვენმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა სოციალისტური ეკონომიკისა და სოციალისტური კულტურის მშენებლობაში. ამ წარმატებათა მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებთან მეგობრულ თანამშრომლობას და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ძმურ და უანგარო დახმარებას. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება და მტკიცდება, უზრუნველყოფს ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო უშიშროებას, წარმოადგენს ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საწინდარს და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომ ამაღლებას. ჩეხოსლოვაკიის ხალხს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია განაგრძოს თავისი ეკონომიკის, როგორც სოციალიზმის მსოფლიო ეკონომიური სისტემის ნაწილის განვითარება და ამით ხელი შეუწყოს მის წარმატებითს ეკონომიურ შეჯიბრებას კაპიტალისტურ სისტემასთან.

საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანი ინიციატივის მეოხებით უკანასკნელ დროს დაიწყო საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე ქვეყნებს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარება. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, განუხრელად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირისა და მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ხალხები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით და აღტაცებით ადევნებდნენ თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XX ყრილობის მუშაობას, რომლის მნიშვნელობა შორს ვრცელდება საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ და რომელიც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს საერთაშორისო მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის განვითარებაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები მდიდარი გამოცდილების წყაროა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიისა და მთელი ჩვენი ხალხის შემდგომ მუშაობაში.

ჩეხოსლოვაკიის ხალხი მთელ თავის ძალებს მოახმარს სოციალიზმის მშენებლობის იმ დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას, რომლებიც დასახულია მეორე ხუთწლიანი გეგმით.

მივესალმებით გმირ საბჭოთა ხალხს, ჩვენს განმათავისუფლებელსა და საუკეთესო მეგობარს.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

დაე ცოცხლობდეს და ჰყვავოდეს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა.

ანტონინ ზაპოტოცკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ვილიამ შირაკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

ანტონინ ნოვოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აკადემიკოს ნ. ნ. სემიონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური ქიმიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცი წლისთავის აღსანიშნავად აკადემიკოსი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე **სემიონოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 8 მაისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს

ინდოეთის გიმნასტიკოსთა ჯგუფი

დიდად პატივცემულო ამხანაგო თავმჯდომარე!

ჰიტლერულ ფაშიზმზე სახელოვანი საბჭოთა არმიის გამარჯვების მე-11 წლისთავთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გიძღვნით გულითად ძმურ სალამს.

განვლილ თერთმეტ წელიწადში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშრომელებმა მუშათა კლასის ხელმძღვანელობით შექმნეს მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფო, რომელიც სოციალიზმის გზას დაადგა. ამ წლებში კეთილნაყოფიერი და სასარგებლო იყო ის დახმარება და მხარდაჭერა, რომლებიც დიდმა საბჭოთა ხალხმა და საბჭოთა კავშირის მთავრობამ გაუწიეს ჩვენს ხალხს პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მის მიერ თავისი დიდი ისტორიული ამოცანის შესრულებისას. ამ წლებში სულ უფრო მჭიდრო ხდებოდა ჩვენი ხალხების მეგობრული და ძმური ურთიერთობა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ახალ ძალებსა და ენერგიას იძენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, ყრილობისა, რომელმაც მთელ კაცობრიობას ახალი დიდებული პერსპექტივები დაუსახა. ითვალისწინებენ რა ისტორიის გაკვეთილებს, გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალები დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სახელმწიფოებთან ხელიხელჩაკიდებულნი წარმატებით განაგრძობენ ბედნიერი და მშვიდობიანი მომავლის მშენებლობას.

მიიღეთ როგორც საბჭოთა ხალხისადმი მადლობის ნიშანი, როგორც სოციალიზმის საქმისათვის ერთგულების გამოხატულება და საბჭოთა ხალხისა და მისი გმირი არმიის ისტორიული გამარჯვების სამახსოვრო, რომ გერმანელი პატრიოტები, როგორც ეს მათ დაამტკიცეს 11 წლის განმავლობაში, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ მშვიდობისა და პროგრესის საერთო საქმეს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის

პრემიერ-მინისტრი ოტო გროტევოლი

საშრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის ნევრთა ჯგუფი საქართველოში

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელიც სტუმრად იმყოფება საქართველოში და რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის გენერალური მდივანი პიერ კომენი, გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. პ. გიორგაძის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების მ. მ. ლელაშვილისა და ა. ნ. ინაურის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ნ. უ. ჯაშისა და გაზეთ „ზარია ვოსტოკის" რედაქტორის ი. ი. ჩხიკვიშვილის თანხლებით გაემგზავრა წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთმა ძველმა სპეციალისტმა ი. დ. ბოლქვაძემ უამბო სტუმრებს ისტორია რესპუბლიკის ამ უდიდესი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა, რომელსაც მინიჭებული აქვს ლენინის ორდენი, უამბო თუ რა საუკეთესო ადგილობრივი და ევროპული ჯიშების ყურძენი მოჰყავთ აქ. მიმდინარე წელს წინანდალი მისცემს ჩვენს ქვეყანას დაახლოებით 600 ათას დეკალიტრ ყურძნის ღვინოს. დელეგაციის წევრებმა მთელი რიგი კითხვები დააყენეს. ისინი დაინტერესდნენ წარმოების ეკონომიკითა და ორგანიზაციით, ვენახების მოსავლიანობით, შრომის ანაზღაურებით, მუშებისა და სპეციალისტების ყოფაცხოვრებით.

დაათვალიერეს რა საბჭოთა მეურნეობის პარკი, რომელსაც 12 ჰექტარი ფართობი უკავია და განთქმულია დეკორაციული მცენარეებით, ფრანგი სტუმრები წავიდნენ მარანში. აქ მათი ყურადღება მიიპყრო ღვინოების იშვიათმა კოლექციამ, რომელშიც ორის რამდენიმე ათეული ათასი ნიმუში, მათ შორის მნიშვნელოვანი რაოდენობა ფრანგული ღვინისა, როგორც, მაგალითად, 1861 წლის მოსავლის „ბორდო". ქართველი მეცნიერები კოლექციაში შეგროვებული ღვინოებით სარგებლობენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მოსაწყობად, ღვინოების თვისებათა შესასწავლად დასაძველებლად შენახვის დროს.

დელეგატები შინ ეწვივნენ საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირებს ვ. მოდებაძესა და ტ. ვეფხვაშვილს. სტუმრებს გულითადი მიღება მოუწყეს. მათ სთხოვეს გაესინჯათ საკუთარი წარმოების ყურძნის ღვინო. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი ანდრე ფილიპი და სხვა დელეგატები ეკითხებოდნენ მუშებს საბჭოთა მეურნეობაში შრომის პირობების, ხელფასის, კულტურული დასვენების შესახებ. მადლობა გადაუხადეს რა მასპინძლებს სტუმართმოყვარეობისა და ყურადღებისათვის, დელეგაციის წევრებმა ბოდიში მოიხადეს ხანმოკლე ვიზიტისათვის.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ სადილი გამართა სტუმრების პატივსაცემად. დელეგაციის მეთაურმა პიერ კომენმა გულითადი მადლობა გადაიხადა მეგობრული, გულთბილი მიღებისათვის, უსურვა საქართველოსა და მთელი საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მშრომელებს წარმატებანი მათ შრომაში სამშობლოს საკეთილდღეოდ, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის.

გუშინ სალამოს საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დელეგაციის წევრები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატთა და მხატვრულ კოლექტივთა კონცერტს.

სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართული ხელოვნების მოღვაწეთა ოსტატობას. დელეგაციის წევრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით. (საქდესი).

24 საჭრისით აღჭურვილი ჩარხი

ლენინგრადი. (საკდესი). სვერდლოვის სახელობის ქარხნის მძიმე ჩარხების საამქროში ბრწყინავს ორი დიდი არაჩვეულებრივი ფორმის ავტომატის გაკრიალებული დეტალები. თვითეული მათგანი თითქოს გაყოფილია ორად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ ხაზს წარმოადგენს. ეს არის „ლრ-99" მარკის შიგასახარატო ჩარხები, რომლებიც ნახვრეტებს აკეთებენ თბომავლების დიზელების ბლოკებში. დამუშავება წარმოებს ერთდროულად 24 საჭრისით. ჩარხის ასეთი კონსტრუქცია შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად შემცირდეს მოსამზადებელი ოპერაციებისათვის საჭირო დრო. შედეგად ბლოკის დამზადება ჩვეულებრივ უნივერსალურ მიწყობილობაზე მის წარმოებასთან შედარებით 5-6-ჯერ ჩქარდება.

ახალ ჩარხს, რომლის სიგრძე 18 მეტრია, აქვს დისტანციური მართვა და ავტომატური მიწყობილობა სამუშაოთა დაგალებული ციკლის შესასრულებლად.

„ლრ-99" მარკის ავტომატები განკუთვნილია ხარკოვის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნისა და კოლომნის კუბიშევის სახელობის ქარხნისათვის.

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს

★ ★ ★ ★

ახალი შრომითი აღმავლობა

უჩვეულო გამოცოცხლეა იგრძნობა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქროებში. მუშები გაცხოველებით მსჯელობენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტზე, ერთმანეთს უზიარებენ თავიან აზრს.

ელექტროშემდუღებელი საამქროს მოწინავე მუშამ, ელექტროშემდუღებელმა ს. კულიჯანოვმა საუბარში თქვა:

— სახელმწიფო პენსიების შესახებ ახალი კანონის პროექტი მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. მე ჩემს საკუთარ მაგალითზე გიჩვენებთ, თუ როგორ გაუმჯობესდება ამ კანონის შედეგად მუშათა კეთილდღეობა. ამჟამად მე ვიღებ 180 მანეთ პენსიას. ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მივიღებ სულ ცოტა 350 მანეთს, ხოლო თუ აღარ ვიმუშავებ, — 700-750 მანეთს და უზრუნველყოფილი ვიქნები მოხუცებულობის პერიოდში.

პროექტის გაცნობისადმი მიძღვნილი საუბრები გაიმართა ქარხნის ყველა საამქროში ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები ერთსულოვნად იწონებენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს და აძლიერებენ შრომას საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მეშახტეთა უდიდესი კმაყოფილება

ტყიბული. (საკ. კორ.). სანგრევებში, საგანრიგოებში, მუშათა კლუბებში, ყველგან, სადაც კი თავს იყრიან მეშახტეები, გაცხოველებული მსჯელობა იმართება სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტზე. მუშები გამოთქვამენ უსაზღვრო მადლობას იმ მშობლიური ზრუნვისათვის, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

— ჩვენი უბნის კოლექტივმა, — განაცხადა მოწინავე უბნის უფროსმა შ. შოთაძემ, — პირველი მაისისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღო 1.500 ტონა ქვანახშირი. ახლა გადავწყვიტეთ ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა პირველი დეკემბრისათვის შევასრულოთ.

ტყიბულელი მეშახტეები ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპებს, იბრძვიან ახალი რეზერვების გამოსავლინებლად და გამოსაყენებლად.

თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხანა: ხურათზე: სამხმელო საამქროს აგიტატორი ტ. კახაძე მუშებს აცნობს სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს.

ხალხისათვის ზრუნვის მკაფიო გამოხატულება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეები დიდი მოწონებით შეხვდნენ სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტს.

მანქანათმშენებელი ქარხნის ექსკავატორების საამქროში აგიტატორ ნ. თევდორაძის საუბრის შემდეგ აზრი გამოთქვა ხარატმა ბ. ხაბურზანიამ.

— პენსიით უზრუნველყოფის საქმის შემდგომი გაუმჯობესება, — განაცხადა მან, — ერთხელ კიდევ თვალნათლივ ცხადყოფს პარტიისა და მთავრობის დიდ ზრუნვას საბჭოთა ხალხისათვის. ამ ზრუნვის პასუხად ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური გეგმა შევასრულო 250 პროცენტით.

მაუდის ფაბრიკის საქსოვ საამქროში პროექტის გაცნობის შემდეგ ფეიერვერკმა ო. ივანიკოვამ და ვ. ცინცაძემ ღრმა კმაყოფილებით გამსჭვალული სიტყვები წარმოთქვეს და პირობა დადეს ყოველდღიური გეგმა 40-60 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ.

საკონსერვო ქარხნის სამურაბე საამქროში პენსიონერებმა ბრიგადირმა ლ. ზოგვერაძემ და მურაბის მხარეველმა ლ. განგესოვამ მშრომელებისათვის პარტიისა და მთავრობის ამ ახალი ზრუნვის პასუხად გადაწყვიტეს ყოველდღიური გეგმა 200 პროცენტით გაანადღონ.

დარბაზობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საელჩოში

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკმა 9 მაისს დარბაზობა გამართა ეროვნული დღესასწაულის — საბჭოთა არმიის მიერ ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის განთავისუფლების მეთერთმეტე წლისთავის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ნ. ა. ბულგანინი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ მინისტრ

სიახლენი მინერალური სასუქის წარმოებაში

რუსთავის ახალ ქარხანაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საბრძოლო ამოცანად დაგვისახა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გაზრდა. ეს კი ბევრად არის დამოკიდებული მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენებაზე. ცნობილია, რომ მინერალური სასუქები, მათ შორის ამონიუმის გვარჯილა საგრძნობლად ზრდის მოსავლიანობას. მაგალითად, აზოტოვანი სასუქის ნიადაგში შეტანისას კილოგრამ აზოტზე მოსავლიანობის სამუალო მატება შეადგენს მარცვლეულისა — 12-15 კილოგრამს, კარტოფილისა —90 კილოგრამს, შაქრის ჭარხლისა — 100 კილოგრამს.

ჩვენს ქვეყანაში მინერალურ სასუქზე მოთხოვნილება დღითიდღე იზრდება. ამიტომ არის, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში აზოტის სასუქების წარმოების 8-ჯერ გაზრდას ითვალისწინებს, რაც სერიოზულ ტექნიკურ საკითხებს აყენებს არა მარტო რუსთავის აზოტოვანი ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივის წინაშე, რომელიც მოწოდებულია უშუალოდ შეასრულოს ეს დავალება, არამედ რესპუბლიკის ტექნიკური ინტელიგენციისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაკთა წინაშეც.

აზოტოვანი სასუქების ქარხანა სამამულო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის აღჭურვილი. საჭიროა ამ ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენება, არსებული რეზერვების გამოვლინება და ამოქმედება. ამ საქმეში ქარხნის კოლექტივს დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენმა რაციონალიზატორებმა. რამდენიმე თვის წინათ ქარხანაში მომუშავე რაციონალიზატორ-გამომგონებლების კონფერენციაზე განიხილეს ადგილობრივი რეზერვების გამოვლინების საკითხი.

რაციონალიზატორების მიერ გამოთქმულმა მოსაზრებებმა დაგვანახვა, რომ შედარებით უმნიშვნელო სახსრების დახარჯვით შესაძლებელი იყო ქარხნის საერთო წარმადობის 20-25 პროცენტით გადიდება. შევუდექით სათანადო კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებას, და როცა ჩვენი მოსაზრებანი სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროში წარვადგინეთ, იქ ეს მოიწონეს, გამოჰყვეს თანხები და ამჟამად საჭირო სამუშაოებს უკვე ვახორციელებთ.

ამონიუმის გვარჯილის გარდა ქარხანა ნატრიუმის გვარჯილასაც გამოუშვებს. საამისოდ შევიმუშავეთ და უკვე დავნერგეთ ნატრიუმის გვარჯილის მიღების ახალი ტექნოლოგია, ხოლო ნატრიუმის გვარჯილა, როგორც ნიადაგის გასანოყიერებელი მასალა, როგორც ცნობილია, არაფრით არ ჩამოუვარდება ამონიუმის გვარჯილას.

ჩვენი ქარხნის მიერ გამოშვებული ნატრიუმის გვარჯილა მარცვლოვანი სახისაა. ეს აადვილებს ნიადაგში მის შეტანას. გვარჯილა ნაწილობრივ შეცხობადიც არის, რაც ნიადაგში შეტანამდე მის წინასწარ დაფშვნას მოითხოვს, მაგრამ თუ ნატრიუმის გვარჯილას შევურევთ დოლომიტს, მისი შეცხობადობა შემცირდება. ამას წინათ ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ინჟინერმა გ. ახალაიამ წინადადება შემოიტანა ნატრიუმის გვარჯილის შეცხობადობის შესამცირებლად დოლომიტის ნაცვლად გამოვიყენოთ გაჯი, რაც რუსთავის მახლობლად უხვად მოიპოვება. ცდამ დადებითი შედეგი ᲛᲐᲒᲒᲪᲐ. გაჯის შერევა შესამჩნევად ამცირებს შეცხობადობას და სასუქი ნიადაგში შეტანისას დაფშვნისათვის აღარ საჭიროებს დამატებით გადამუშავებას.

მთელი რიგი დანადგარები და ზოგი საამქრო, რომლებიც რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში გვაქვს, ტექნიკურ სიახლეებს წარმოადგენენ. მაგალითად, ასეთია მეთანის (ჭაობის გაზი) საკონვერსიო საამქრო (კონვერსია ეწოდება პროცესების წყებას, ამ შემთხვევაში მეთანიდან წყალბადის მიღებას). ჩვენი ქვეყნის სხვა ქიმიური საწარმოები, რომლებიც კოქსის გაზის გადამუშავების შედეგად ამონიუმის გვარჯილას ამზადებენ, მთლიანად ვერ იყენებენ კოქსის გაზს, კერძოდ კოქსის გაზიდან მეთანის შემცველ წყალბადს და ე. წ. მდიდარი გაზის სახით კოქსქიმიურ ქარხნებს უკანვე უბრუნებენ. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში აგებულია სპეციალური კოპპესი. აქ გამართულ ურთულეს აპარატებში სრულდება დახურულ პროცესთა წყება (კონვერსია), რის შედეგად ხორციელდება კოქსის გაზის სრული გამოყენება. ამ საამქროსათვის სპეციალურად დამზადდა საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები, რომლებიც ავტომატურად მართავენ პროცესებს და რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში საჭირო სიგნალსაც იძლევიან.

უახლესი ტექნიკით არის აღჭურვილი მეორე საამქროც, სადაც კოქსის გაზი გოგირდის მინარევებისაგან იწმინდება. გოგირდის შემცველი არაორგანული და ორგანული შენაერთები ამონიაკის წარმოებაში ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენენ. მისგან კოქსის გაზის გაწმენდა აუცილებელია. გოგირდის ორგანული შენაერთებისაგან კოქსის გაზს ᲒᲬᲛᲔᲜᲓᲗ სიცხეგამძლე მასალისაგან დამზადებული უჟანგავი ფოლადის აპარატებში ამ პროცესისათვის სპეციალურად დამზადებული შთანმთქმელის გამოყენებით. გოგირდის შემცველი არაორგანული მინარევებისაგან კოქსის გაზის გათავისუფლება კი საერთოდ სპეციალური მადნის გამოყენებით ხორციელდება, რაც ჩვენს პირობებში სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჩაგუნავამ შეიმუშავა გოგირდის შემცველ არაორგანულ ნივთიერებათაგან კოქსის გაზის გაწმენდის ახალი მეთოდი მარგანეცის ნარჩენების გამოყენებით. ეს მეთოდი, რაც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს, წელს ფართოდ ინერგება ჩვენს საწარმოში.

მეტად დიდ საკითხს წარმოადგენს ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე მინერალური სასუქების ახალ სახეობათა შექმნა. ამ დარგში ნაყოფიერი მუშაობა გასწია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკმა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ქ. ფურცელაძემ. მეტალურგიაში გამოუყენებელი არაკონდიციური მარგანეცის აზოტმჟავათი დამუშავებით მან მიიღო ხსნარი, რომელიც შეიცავს ბმულ აზოტსა და მიკროსკოპული რაოდენობით ისეთი ლითონების შენაერთებს, როგორიც არის მაგნიუმი, ნიკელი, კობალტი, ტიტანი და სხვ. ეს ხსნარი, რომელსაც პირობითად მიკროსასუქი ᲕᲣᲬᲝᲓᲔᲗ, რამდენიმე ხნის წინათ გამოსცადეს გარდაბნის, გორის, კოლხიდის და სხვა საცდელი სადგურების ნაკვეთებზე. ცდებმა ცხადყო, რომ მიკროსასუქი დღემდე არსებულ მინერალურ სასუქთა შორის ყველაზე ეფექტიანია. მისი გამოყენებით მოსავლიანობის მატება 80-მდე პროცენტს აღწევს. აზოტის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ უკვე გამოჰყო საჭირო თანხა ქ. ფურცელაძის მეთოდით და ტექნოლოგიით მიკროსასუქის დასამზადებელი საცდელი საამქროს ასაგებად. ამჟამად რუსთავში დაწყებულია ამ საამქროს მონტაჟი, და მომდინარე წლის მეორე კვარტალის ბოლოს მიკროსასუქის საამქრო უკვე მოგვცემს პირველ პროდუქციას.

ჩვენი ქარხნის კოლექტივი დღითიდღე ზრდის მინერალური სასუქების გამოშვებას. ეს ძვირფასი პროდუქცია სულ უფრო მეტი რაოდენობით ეგზავნებათ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

მიუხედავად ამისა, ქარხნის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ᲯᲔᲠ კიდევ მაღალია პროდუქციის თვითღირებულება, დღემდე ვერ შევძელით ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობით ხარჯვის რეჟიმის მტკიცედ დანერგვა.

აზოტოვანი სასუქების ქარხნის გამართული მუშაობა ბევრად არის დამოკიდებული ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მიერ სამშენებლო-სამონტაჟო გეგმების შესრულებაზე. მშენებლებს ჩვენს ქარხანაში ᲯᲔᲠ კიდევ ბევრი დაუმთავრებელი სამუშაო აქვთ.

ამ სამუშაოთა დროზე ჩატარება, არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორება ქარხნის კოლექტივის წინაშე მდგომი ახალი, დიდი ამოცანების სასახელოდ შესრულების საუკეთესო საწინდარი იქნება.

ნ. ᲭᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორი.

დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). უკანასკნელ დღეებში დამდგარმა მზიანმა, თბილმა ამინდმა დააჩქარა ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია. რამდენიმე დღეა, რაც აჭარის ასს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა დაიწყო. Ა მიისასათვის მოკრეფილი იყო და მრეწველობას ჩაბარდა 13.810 კილოგრამი პირველი ხარისხის ნედლეული.

ბათუმის რაიონის მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს და ჩაის ფაბრიკას ჩაბარეს 10.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი. სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც აჭარაში პირველმა დაიწყო კრეფა, უკვე მოკრიფა 4.618 კილოგრამი, ბათუმის რაიონის სოფელ მახოს ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 1.501, ახალსოფლის ტიმოშენკოს სახელობის კოლმეურნეობამ — 736, ჭარნალის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ — 973 კილოგრამი. კრეფას შეუდგნენ ქობულეთის რაიონის მეჩაიეებიც.

მარტო ერთი დღის განმავლობაში აჭარაში მოიკრიფა 6.698 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მალე აჭარაში ჩაის ფოთლის კრეფა მასობრივად გაჩაღდება.

• • •

სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში დაიწყო ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. **სურათზე:** მკრეფავი ვ. გლეშკო, რომელიც ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

ნოვაგორის ახალი წინაღობება

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს ნივთარმამ მბურღავმა კ. ნადირაძემ, რომელიც მადნის ღია წესით ბურღვაზე მუშაობს, დაამზადა საბურღავი მანქანის საკუთარი კონსტრუქციის ჩარჩო. მისი გამართვა ერთ მბურღავს შეუძლია. ახალი კონსტრუქციის ჩარჩოს ნადირაძემ გაუკეთა ქოლგისებრი თავი, რომელიც ღია სამუშაოზე მომუშავე მბურღავს იცავს წვიმისა და მზისაგან. ასეთი ბურღვის გამოყენებამ შესამჩნევად გაადიდა მბურღავის შრომის ნაყოფიერება. თავის ხელსაწყოს გამოყენებით კ. ნადირაძე ამჟამად ცვლაში 110 ტონა მარგანეცის ნაცვლად 280 ტონამდე მარგანეცს ბურღავს.

გოგირდოვანი სამკურნალო წყალი ᲯᲐᲨᲘᲡᲙᲐᲠᲨᲘ

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ. (საკ. კორ.). სოფელ ტაშისკარში გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა შესრულების დროს 800 მეტრი სიღრმიდან ამოხეთქა გოგირდოვანმა სამკურნალო მინერალურმა წყალმა.

ლაბორატორიულმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ ტაშისკარის გოგირდოვან წყალს აქვს კარგი თვისებები ქრონიკული რევმატიზმით დაავადებულთა მკურნალობისათვის. კოლმეურნეობამ მოაწყო აბაზანები. ქრონიკული რევმატიზმით დაავადებულებმა რამდენიმე აბაზანის მიღების შემდეგ კარგად იგრძნეს თავი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მსჯავრ მოსავალი მიიღეს, ცუდად ემზადებიან“

7 აპრილის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო აბაშის რაიონის სოფელ კვათანის ლენინის სახელობის, პირველი მაისის ლენინის სახელობის, მარნის ბულგანინის სახელობისა და ზანათის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობათა მუშაობის ნაკლოვანებანი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებში.

საქართველოს კომპარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ განიხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი და სწორად ცნო კრიტიკა. რაიკომის ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებანი მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მეგობრობის სტრიქონები

ეს იყო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი და მოლდაველი კოლმეურნეები. მათი დამეგობრება მევენახეობის პავილიონთან გამართული საუბრით დაიწყო.

ამის შესახებ მოგვითხრობს მოლდაველთის სსრ რომანოვკის რაიონული გაზეთი „სვეტლი პუტ“, რომელიც თავის ფურცლებზე ბეჭდავს გამოფენის ექსკურსანტის ბ. პავლოვის წერილს:

„მევენახეობის პავილიონში სრულიად მოულოდნელად შეეხვედით ქართველ მეგობრებს. ისინი საქართველოს სსრ ადიგენის რაიონიდან იყვნენი. დავინტერესდით მოძმე ხალხის შრომითი საქმიანობით. ბევრი შეკითხვა მივეცით ქართველ ამხანაგებს. მათ ყველა კითხვაზე ხალისით გვიპასუხეს. მოლდაველმა პ. ზორენკომ, ბ. დუმანოვმა, ფ. დოდიკამ გულთბილი საუბარი გამართეს ქართველებთან ს. ჩილინგარაშვილთან, ვ. დგებუაძესთან, უ. კაპანაძესთან, ა. სარაშვილთან და შ. სხვილაძესთან. საინტერესო იყო ტრაქტორისტ ს. ხარშილაძესთან საუბარი. მას საბჭოთა არმიაში ყოფნის დროს ოცნებოვრია მოლდავეთის ქალაქ ბენდერში. ახლა იგი წარმატებით მუშაობს ადიგენის მტს-ში. მან საინტერესოდ გადმოგვცა ცნობები ადიგენელ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შრომითს საქმიანობაზე. ამავე საუბარში დაგვეგიდა სურვილი მტკიცე და ხანგრძლივი მეგობრობისა, გვქონოდა მიწერ-მოწერა, გაგვეჩაღებინა სოციალისტური შეჯიბრება. ჩავიწერეთ ქართველ კოლმეურნეთა მისამართები. გამომშვიდობებისას მეგობრული სიტყვები წარმოითქვა მოლდავურ და რუსულ ენებზე“.

მიმდინარე წლის მარტში შეიკრიბნენ რომანოვკელი კოლმეურნეები. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან საქართველოს სსრ ადიგენის რაიონის კოლმეურნეებთან. თავიანთ ვალდებულებებში რომანოვკელები კისრულობენ წარმატებით დაამთავრონ მეექვსე ხუთწლეული პირველი სამეურნეო წელი, მიაღწიონ მარცვლეულის, ტექნიკური და ზეთოვანი კულტურების, ხილის, ყურძნის, კარტოფილის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრად ამაღლებას.

„შეჯიბრება დიდი ძალაა, — წერენ მოლდაველები, — სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება უფრო განამტკიცებს ჩვენს მეგობრობას, დარაზმავს ადამიანებს პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად.

გამოგვიწოდეთ მეგობრობის ხელი, ძვირფასო ამხანაგებო! სოციალისტურმა შეჯიბრებამ ორივე მხარეს მოგვანტანოს დიდი სარგებლობა“.

ადიგენელმა კოლმეურნეებმა რომანოვკელებს გაუგზავნეს საპასუხო წერილი:

„ჩვენ უდიდესი ინტერესით გავეცანით და გულდასმით განვიხილეთ თქვენი სოციალისტური ვალდებულებანი. მხურვალედ ვიწონებთ თქვენს თაოსნობას. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ურთიერთ დახლოება, საქმიანი კავშირის დამყარება, შრომის მოწინავე მეთოდებისა და გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საკოლმეურნეო წარმოების დონის ამაღლებას, დაგვეხმარება ჩამორჩენილი კოლმეურნეობის მოწინავეთა დონემდე წამოწევაში“.

ამას წინათ მოლდავეთიდან ადიგენში მიიღეს წერილი, რომლითაც ადიგენის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაციას იწვევენ რომანოვკის რაიონში.

„მოდით, მოგელით როგორც ძვირფას სტუმრებს“, — წერენ მოლდაველები. ორივე რაიონის გაზეთები გულთბილ წერილებს უძღვნიან მოლდაველ და ქართველ კოლმეურნეთა თანამეგობრობას, იწონებენ შეჯიბრებაში ჩაბმულთა საქმიანობას, საკოლმეურნეო შრომის ადამიანებს მოუწოდებენ საქმით გაიჩაღონ ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად.

„კოლმეურნეებო, მტს-ის მექანიზატორებო, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! თქვენ მომდინარე წელს დიდი პასუხსაგები საქმე მოგელით. სიტყვა თქვით. შედეგი მოსაპოვებელია. ახლა ამოცანა ის არის, რომ თავდადებით ვიბრძოლოთ ნაკისრ ვალდებულებათა სარეალიზაციოდ“, — წერს მოწინავე წერილში გაზეთი „ადიგენის კოლმეურნე“.

Ე. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲕᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მარქსიზმ-ლენინიზმი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ პარტიას ამოცანად დაუსახა აღზარდოს ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და მათი ინტერნაციონალური კავშირი სოციალიზმის ბანაკის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებთან.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი არის მუშათა კლასისა და მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის იდეოლოგია და პოლიტიკა, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში მათი გამარჯვების ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი პირობა. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაში ჩაისახა და თავისი მეცნიერული დასაბუთება მარქსიზმ-ლენინიზმში ᲰᲠᲝᲯᲐ. პირველად იგი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ იყო წამოყენებული და დასაბუთებული, ხოლო შემდეგ შესანიშნავად განვითარებულ იქნა კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალური ფუძემდებლის ვ. ი. ლენინის უკვდავ შრომებში.

მარქსმა და ენგელსმა 1848 წელს „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ გამოაცხადეს რევოლუციური მუშათა კლასის საბრძოლო ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“, რომელშიაც გამოხატეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არსი და მნიშვნელობა. ეს მოწოდება მუშათა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის დროშა გახდა.

მარქსმა და ენგელსმა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დაამტკიცეს, რომ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი მოწოდებულია შეასრულოს კაპიტალიზმის მესაფლავისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლის დიადი ისტორიული მისია. პროლეტარიატის მიერ ამ მისიის შესრულების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ პირობას წარმოადგენს ყველა ქვეყნის და ეროვნების მუშათა ერთიანობა და ძმური სოლიდარობა, რადგან „კაპიტალი საერთაშორისოა ძალა. მის დასამარცხებლად საჭიროა მუშათა საერთაშორისო კავშირი, მათი საერთაშორისო ძმობა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30, გვ. 347).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულებაა ყველა ხალხის თანასწორობისა და სუვერენიტეტის აღიარება. იგი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს ეროვნული ჩაგვრისა და დამონების ყველა და ყოველგვარ ფორმას. მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ არ შეიძლება თავისუფალი იყოს ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს ჩაგრავს.

არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას ეროვნული შუღლი და ჩაგვრა, ერთი ერის მეორეზე ბატონობა. ყველა ხალხს განთავისუფლება კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან, ერთა თანასწორობისათვის ბრძოლა მუშათა კლასის წმიდა მოვალეობას, კომუნისტური და მუშათა პარტიების უმნიშვნელოვანეს ინტერნაციონალურ ამოცანას წარმოადგენს — ასეთია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყველა ფორმა: შენიღბული ნაციონალიზმი, შოვინიზმი, რასიზმი, კოსმოპოლიტიზმი და სხვ. მიზნად ისახავს მოწამლოს მუშათა კლასისა და მშრომელთა შეგნება ეროვნული მტრობისა და უნდობლობის შხამით, ჩამოაშოროს მშრომელები კლასობრივ ბრძოლას, გათიშოს და დაასუსტოს ისინი, წაართვას მათ კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის წარმატების რწმენა. ბურჟუაზიე ცდილობს ნაციონალიზმს საშუალებით თავისი ᲒᲐᲬᲠᲐ კლასობრივი ინტერესი საერთო ეროვნულ ინტერესად გასაღოს. იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები ახალი ყარაღეთრი ომის მომზადების მიზნით მიმართავენ ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის მოწამლულ იარაღს, რომლის საშუალებით ცდილობენ განაიარაღონ სხვადასხვა ქვეყნის მშრომელები, ჩაბაზონ მათში სამშობლოსადმი ერთგულების გრძნობა, გახადონ ისინი თავიანთი ხალხის ბედისადმი გულგრილნი. პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ყოველთვის ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. „ძველ სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა ან ეროვნული განკერძოების სამყაროს მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროს, სადაც არ იქნება არავითარი პრივილეგია, ადამიანის მიერ ადამიანის არავითარი ჩაგვრა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 89).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას წარმოადგენს მოძღვრება მუშათა კლასის და მისი რევოლუციური პარტიის ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობისა და განუყოფლობის შესახებ. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ცალკეული ქვეყნების მუშათა კლასის ამოცანები აუცილებლად შეერთვის ყველა ქვეყნის მუშათა და მშრომელთა განთავისუფლების ერთ საერთო ამოცანას.

იმპერიალიზმის ეპოქის ღრმა მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ვ. ი. ლენინმა შექმნა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია, დაასაბუთა იმპერიალიზმის ეპოქაში სოციალიზმის თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში გამარჯვების შესაძლებლობა და ამ საფუძველზე შესანიშნავად დაამტკიცა მუშათა კლასისა და მისი პარტიის ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობისა და განუყოფლობის პრინციპი.

სოციალიზმის ერთ ქვეყანაში წარმატებით მშენებლობა შეადგენს ამ ქვეყნის მუშათა კლასის არა მარტო ეროვნულ ამოცანას, არამედ მის ინტერნაციონალურ, მოვალეობასაც. გამარჯვებული სოციალიზმის პირველი ქვეყნის მუშათა კლასის ინტერნაციონალური მოვალეობაა განამტკიცოს ძმური კავშირი ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან, გაუწიოს მას ყოველმხრივი დახმარება იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

მარქსიზმ-ლენინიზმი შესანიშნავად განსაზღვრავს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნისადმი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის დახმარების თავისებურებებს; ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატი ამ დახმარებით უწინარეს ყოვლისა მხარს უჭერს თავისი ქვეყნის ხალხს მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში. როდესაც ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთს თავს დაესხნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მუშები ლოზუნგით: „ხელები შორს რუსეთისაგან!“ წინააღდგნენ თავიანთი ქვეყნების ბურჟუაზიას. ამით ამ ქვეყნების მუშები მხარს უჭერდნენ არა მარტო საბჭოთა ქვეყანას, არამედ თავიანთი ხალხის ბრძოლასაც მშვიდობისა და თავისუფლებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა გამოხატავს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, და უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო პროლეტარიატის შეგნებაზე. განუმტკიცებს მას თავის ძალებისადმი რწმენას.

ჩვენი ეპოქის პირობებში პროლეტარული ინტერნაციონალიზმი—ეს არის ხალხთა მეგობრობა სოციალისტური სახელმწიფოების შიგნით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა. და, ბოლოს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობა აგრესიისა და ომის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს. იგი შეიქმნა და განვითარდა პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად გატარების შედეგად.

კომუნისტური პარტია თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რაზმავდა რუსეთის მრავალეროვან პროლეტარიატს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში უდიდესი როლი შეასრულა პარტიის შეუნელებელმა ბრძოლამ როგორც დიდმპყრობელური შოვინიზმის, ისე ადგილობრივი ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებასთან.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ახალი მკვეთრი აღმავლობისაკენ. კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელ წლებში მოკავშირე რესპუბლიკების ბრუჯეტის განაწილებისა და ეკონომიური და კულტურული მშენებლობის დაგეგმვის სფეროში გაატარა მთელი რიგი ახალი ღონისძიებანი, რაც ხელს უწყობს მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებას, მათი ინიციატივისა და თვითმოქმედების შემდგომ აღმავლობის. პარტიის XX ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად სახავენ მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას.

— პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით გამსჭვალული ადიან ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მუშათა, კოლმეურნე გლეხთა და ინტელიგენციის მასები. მაგრამ ცალკეული საბჭოთა ადამიანების შეგნებაში ᲯᲔᲠ კიდევ არსებობს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გადმონაშთები. ამიტომ ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით ჩვენი ქვეყნის შრომელთა აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა შეგნებაში ნაციონალიზმის გადმონაშთებთან სისტემატურ და შეუნელებელ ბრძოლას.

საბჭოთა კავშირი დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიოში ერთადერთი სოციალისტური ქვეყანა იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში მშრომელებმა მუშათა კლასის მეთაურობით და კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით ხელში აიღეს ძალაუფლება და ახალი, სოციალისტური ცხოვრების აშენებას შეუდგნენ. სოციალიზმი გასცდა საბჭოთა კავშირის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად იქცა; შეექმნა სოციალისტური ქვეყნების მძლავრი ბანაკი. კაპიტალიზმი უძლური აღმოჩნდა ხელი შეეშალა ამ მსოფლიო-ისტორიული პროცესისათვის. სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობა მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესი ტრიუმფია.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის დამყარდა ახალი, ისტორიაში წინათ არნახული ძმური დახმარებისა და გულწრფელი თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპების ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა მეგობრობა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა, სოციალისტური ერების ძმური ურთიერთკავშირი და მეგობრობაა, რომლის შემდგომი განმტკიცების იდეურ საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური პატრიოტიზმის ორგანული შეხამება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ პატრიოტიზმი, სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების კეთილშობილური გრძნობა არათუ არ ეწინააღმდეგება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, არამედ ორგანულად დაკავშირებულია მასთან. ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისა და ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის დამყარების შემდეგ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში წარმოიშვა სოციალისტური პატრიოტიზმი, რომელიც ახალ, უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმს წარმოადგენს. სოციალისტური პატრიოტიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ის შესანიშნავად ახამებს ყველა ხალხთა საერთო ინტერესებს თვითეული ხალხის ეროვნულ ინტერესებთან და ტრადიციებთან, კი არ თიშავს ხალხებს, არამედ აერთიანებს მათ მეგობრობისა და სოლიდარობის საფუძველზე. სოციალისტური პატრი

ფართო გზა მეკამეჩეოგბას!

რენტაბელური დარგი

ბორბალოს მთიდან ხმაურით გამოჭრილი მდინარე მდორედ მოედინება ველებს შუა. ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას ხანდახან არღვევს პარტყვის ბღავილი და მწყემსთა ომახიანი შეძახილი.

გორგი კოპლამაზაშვილი, რომელმაც თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მეცხოველეობაში გაატარა, ორივე ხელით ჯოხს დაყრდნობია და ფხიზლად ადევნებს თვალს ჭალებს შესეული კამეჩის ნახირს.

სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეკამეჩეობის ფერმა ივრის ნაპირას — სოფლიდან 25 კილომეტრზე მოუწყვიათ. მყუდრო და ქარებისაგან დაცულ ამ ადგილას თბილი ზამთარი იცის, ზაფხულში კი კამეჩებს გასაგრილებლად შორს წასვლა არ უხდებათ.

ფერმაში ბაგური კვებისათვის ყველა პირობაა შექმნილი. რაც მთავარია, უხვად აქვთ ყველა სახის საკვები. მაგრამ ველაში გაყვანისთანავე კამეჩები მაინც გაფაციცებით ეძებენ წყალმცენარეებს, ჭაობის ბალახს, ბუჩქების ტოტებსა და ფესვებს, ყველფერს, რასაც ჩვეულებრივ სხვა ცხოველი პირსაც არ დაკარებს.

მეკამეჩეობას ბოდბეში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მისი ნამდვილი აღორძინება დაიწყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ განვლილ პერიოდში, როცა აქ ამ დარგის განვითარებას მტკიცედ მოჰკიდეს ხელი. მანამდე კი ბოდბეში მეკამეჩეობა არარენტაბელური იყო. თუ რამდენად ხელსაყრელია მეკამეჩეობა, ამას ნათელყოფს შემდეგი მონაცემები: გასულ სამეურნეო წელს ძროხებისა და ფურკამეჩების დაახლოებით თანაბარი წველადობის პირობებში თვითეულ ფურკამეჩზე მიღებულმა რძის პროდუქციამ ერთიორად მეტი შეადგინა, რადგან მისი ცხიმიანობა ორჯერ აღემატებოდა ძროხის რძის ცხიმიანობას. და ეს შრომის გაცილებით ნაკლები დანახარჯების პირობებში!

ბოდბელებს არ ახსოვთ, რომ სხვა დროს ზამთარში შეენარჩუნებინოთ ზაფხულთან შედარებით მაღალი, თანაზომიერი წველადობა. მიმდინარე სამეურნეო წელს კი დაარღვიეს არსებული „ტრადიცია“. განვლილ იქვე თვეში თვითეულ ფურკამეჩზე მიიღეს დაახლოებით ამდენი რძე, რამდენიც მთელი 1953-1954 სამეურნეო წლის განმავლობაში — 460 კილოგრამი.

პირუტყვის გამოზამთრების სწორი ორგანიზაცია და საზაფხულო ბანაკური შენახვისათვის სანიმუშოდ მომზადება საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ აქ წელს არა მარტო მოპოვებულ მოღწევებს შეინარჩუნებენ, არამედ ახალ წარმატებებსაც მოიპოვებენ წველადობის ამაღლების საქმეში.

მილწევების საფუძველი

— მეკამეჩეობაში ჩვენი შარშანდელი წარმატების საფუძველი საკვების პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში უნდა ვეძებოთ, — განაცხადა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ოცდაათამეულმა ი. ბეჟაშვილმა.

თუ წარსულ წლებში საკუთარი საკვები ეხლოლდ რამდენიმე თვეს ყოფნიდათ, შარშან აქ საჭირო მარაგის გარდა სადაზღვევო ფონდიც შექმნეს.

საკვები ბაზის განმტკიცების წყარო გახდა სიმინდი, რაც შარშან კოლმეურნეობამ 660 ჰექტარზე დათესა. მიუხედავად იმისა, რომ ამ კულტურისათვის ურწყავი ფართობები გამოიყენეს, ჰექტარზე საშუალოდ მაინც 18 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ულიანოვკელ მექანიზატორთა კარგი მუშაობა. მათ კოლმეურნეებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით სიმინდის მოყვანაზე მაქსიმალურად გამოიყენეს მოწინავე აგროტექნიკა. შარშან კოლმეურნეობამ მარტო სიმინდის 1.700 ტონა სილოსი დაამზადა. თვითეული კამეჩი უზრუნველყვეს 6 ტონა სილოსით, ოთხი ტონა უხეში და ერთი ტონა კონცენტრირებული საკვებით. ყუათიანობის გადიდების მიზნით საკვებს წინასწარ ამზადებენ. ადგენენ მისი ხარჯვის უწყისებს.

კამეჩების მთელი სულადობის ზაფხულში მწვანე, ხოლო ზამთარში წვნიანი საკვებით უზრუნველსაყოფად აქ გადაწყვეტილი აქვთ ფერმისპირა ნაკვეთზე მოაწყონ საკვები თესლბრუნვა მწვანე კონვეიერის გამოყენებით. ამ მიზნით აითვისეს 120 ჰექტარი საუკეთესო მიწა, რომელზეც თესავენ სხვადასხვა საკვებ კულტურებს. კოლმეურნეობის გამგეობა ფიქრობს წელს ადგილობრივ ნახეკრადგვალვიან პირობებში ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად შექმნას საკვების, განსაკუთრებით კი წვნიანი საკვების დიდი მარაგი. ამისათვის დანტებით ააშენებენ 500 ტონის ტევადობის სასილოსე ნაგებობებს.

ფერმის ოქროს ფონდია მისი ადამიანები, რომლებიც ძალებს არ ზოგავენ მეკამეჩეობის ახალი აღმავლობისათვის. ერთმანეთს პირველობაში ეცილებიან მწყემსები ლ. ლეკაშვილი, ვ. ტარუაშვილი და სხვები.

მეცხოველეებს მიცემული აქვთ მოსავლელად მიჩენილ ფურკამეჩებზე რძის მიღებისა და ზაქების გაზრდის საწარმოო დავალება. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფურკამეჩების მოგებისათვის მომზადებას და ზაქების გაზრდას. დაკრილების ჩანაწერების მიხედვით ადგენენ, რომელმა ფურკამეჩმა რა დროს უნდა მოიგოს. შემდეგ დედაპირუტყვს ცალკე გამოჰყოფენ და მას მოვლა-პატრონობის უკეთეს პირობებს უქმნიან. გასულ სამეურნეო წელს ფერმაში პირველად შემოიღეს ზაქების ხელზე წოვება. ამ მეთოდმა კარგი შედეგი გამოიღო — გაზარდა ფურკამეჩების პროდუქტიულობა და ზაქების ცოცხალი წონის სადღეღამისო მატება. ნამატის კარგი მომვლელია 70 წლის ი. ბარნაბიშვილი, რომელსაც თავისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში არც ერთი ზაქი არ მოჰკვდომია.

კამეჩებს დროზე აძლევენ საკვებს, არწყულებენ, წმენდენ, ბაგური კვების დროს დღეში რამდენჯერმე გამოჰყავთ სუფთა ჰაერზე. დიდი ეკონომიური ეფექტი გამოიღო ორჯერ წველაზე გადასვლამ.

კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გააკეთეს მეცხოველეთა შრომის და საწარმოო პირობების გასაუმჯობესებლად. ააშენეს ფერმის კაპიტალური ბინა, მოაწყეს კიდული საბაგირო გზა საკვების მისაწოდებლად და ნაკელის გასატანად. სპეციალურად მოწყობილი საკვებურები და სმამურები მწყემსებს აძლევს ცხოველთა კვების ინდივიდუალური ნორმირების საშუალებას. იარლიყების საშუალებით ეცნობით თვითეული ფურკამეჩის ინდივიდუალურ მონაცემებს. ფერმაში მთელი მუშობა ემორჩილება შინაგანაწესს, რომელიც ზუსტად სრულდება. ადგენენ კვების რაციონს, ახორციელებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს პირუტყვის დაავადების თავიდან ასაცილებლად. ყველა მწყემსი ცხოვრობს კეთილმოწყობილ ბინაში, რომელშიაც მოწყობილია წითელი კუთხე, პერიოდულად იმართება ლექციები, საუბრები, გაზეთის ხმამაღლა კითხვა.

მოზრდილი პირუტყვის შენახვაზე, მოზარდეულის გაზრდასა და პროდუქციის ამაღლებაზე მუშაკებს დამატებითი ანაზღაურება ეძლევათ. მაღალია შრომადღის ხვედრიც. მაგალითად, მოწინავე მწყემსმა გ. კოპლამაზაშვილმა 1954 წელს გამომუშავებულ 766 შრომადღეზე მიიღო 3 ტონამდე მარცვლეული, 2.681 მანეთი ფულად, 229 კილოგრამი მზესუმზირა, აგრეთვე ყველი, ღვინო და სხვა პროდუქტები.

ზოგიერთი გამოუყენებელი რეზერვი

მეკამეჩეობა ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ნამდვილად ახლა იწყებს აღორძინებას. ამიტომ, როგორც ალმავლობის გზაზე მდგომ ყოველ ახალ საქმეს, მასაც თან სდევს ზოგიერთი ნაკლი, არის გამოუყენებელი რეზერვებიც.

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირეა საერთო ნახირში ფურკამეჩების რაოდენობა. აქ ჰყავთ მხოლოდ 47 ფურკამეჩი, რაც კამეჩების საერთო სულადობის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს. ამ ხარვეზის გამოსწორება კოლმეურნეობას ადვილად შეუძლია პირუტყვის საკუთარი მომრავლებისა და შესყიდვის გზით.

მართალია, ამას წინათ ფერმაში მოაწყეს კიდული საბაგირო გზა, მაგრამ ჯერ კიდევ გადასაწყვეტია მთელ რიგ სხვა შრომატევად სამუშაოთა, მათ შორის დარწყულების, საკვების წინასწარ შემზადების, რძის გადამუშავების მექანიზაციის საკითხები. აქ შეიძლება მცირეძალიანი ელექტროძრავის დახმარებით განახორციელონ აღნიშნულ სამუშაოთა მექანიზაცია. ფერმაში აუცილებელია ცალკე მოაწყონ საკვები საამქრო და საზაქე განყოფილება.

ნაკლოვანებებია რძის პროდუქციის აღრიცხვაში. თუმცა ყოველდღიურად წარმოებს მიღებული რძის საერთო პროდუქციის გაანგარიშება, მაგრამ ბოლო ხანებში რატომღაც ინდივიდუალურად არ აღრიცხავენ ცალკეული კამეჩების პროდუქციას. ეს კი სწორი არ არის. პროდუქციის აღრიცხვის ასეთი ცალმხრივი წესი მეცხოველეებს საშუალებას არ აძლევს ფერმაში დატოვონ მხოლოდ მაღალპროდუქტიული ფურკამეჩები და მათი შთამომავლობა, ხოლო უფრო მცირეპროდუქტიული პირუტყვი თანდათან გაიყვანონ მეურნეობიდან. მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მაღალხარისხოვანი მწარმოებლების შერჩევას, ფართოდ დაინერგოს წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევები.

პერსპექტიული გეგმით კოლმეურნეობას 1960 წლისათვის თვითეულ ფურკამეჩზე უნდა მიეღო 1.700 კილოგრამი რძე; მაგრამ ბოდბელმა კოლმეურნეებმა, რომლებიც პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად შეიტანეს შესწორებები თავიანთ გეგმაში, გამოავლინეს დამატებითი რეზერვები და საშუალებები. ამის საფუძველზე გადაწყვიტეს მეკამეჩეობაში პროდუქტიულობის ზრდის 1960 წლის გეგმა სამი წლით ადრე — 1957 წლისათვის გაანაღდონ. უკვე მიმდინარე წელს თვითეულ ფურკამეჩზე 1.100 კილოგრამ რძეს მიიღებენ.

* * *

სიღნაღის რაიონში წინათ მეკამეჩეობა დიდად განვითარებული ყოფილა. ამას ადასტურებს ისტორიული წყაროები. ვახუშტი ბატონიშვილი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში წერს: „...არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოზვეევია მთასა, ცივის მთიდამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი კანბეჩთა სომრავლისათვის“...

ჩვენში კამეჩს ძველთაგანვე იყენებენ როგორც მერძეულ, სახორცე და მუშა პირუტყვს. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კამეჩის საძროე და სახორცე პროდუქტიულობა.

მაგრამ იმის გამო, რომ სიღნაღის რაიონის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკი კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები ბოლო დრომდე არ აფასებდნენ მეკამეჩეობის როლს სახორცე და მერძეულ მეცხოველეობაში, ეს დარგი სამარცხვინოდ ჩამორჩა. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ ზოგიერთ კოლმეურნეობაში (ანგის კირთვის სახელობის, ვაჭირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობები, ნუკრიანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“) შარშან საშუალოდ ერთ ფურკამეჩზე 300 კილოგრამი რძეც არ მიუღიათ. მეკამეჩეობის ფერმა რაიონის მხოლოდ 7 კოლმეურნეობაშია. სხვაგან კი, სადაც ფერმის შესაქმნელად კამეჩების საჭირო რაოდენობა ჰყავთ, მათ სხვა მსხვილფეხა რქიან პირუტყვთან ერთად ინახავენ. ბევრგან წლობით არ სრულდება კამეჩის სულადობის განვითარების დავალება. დაბალია საერთო ნახირში მერძეული პირუტყვის რაოდენობა.

ასეთი მდგომარეობის შემდგომ გაგრძელება შეუწყნარებელია. სიღნაღის რაიონში მეკამეჩეობა კოლმეურნეობათა მაღალშემოსავლიან, რენტაბელურ დარგად უნდა გადაიქცეს.

გ. ზუკაკიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.



დაიწყო სიმინდისა და მზესუმზირას ნათესების კულტივაცია

ბურჯაანი. (სპეც. კორ.). ყველგან საკოლმეურნეო მინდვრებში სიმინდისა და ჯარტოფილის ნათესები კარგად არის აღმოცენებული. კოლმეურნეები და მექანიზატორები შეუდგნენ ნათესების დამუშავებას, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კულტივაცია.

სიმინდის თოხნა რაიონში პირველმა დაიწყო სოფელ ქალაურის კოლმეურნეობამ. სოფლების ბაკურციხის, ჭანდრის, ახაშნის და გურჯაანის კოლმეურნეობებმა უკვე გათოხნეს ჯარტოფილის ნათესების პირველი ჰექტარები. რაიონში 2 სამუშაო დღეში საგაზაფხულო კულტურები გათოხნილია 200 ჰექტარზე მეტი.

ახალი სპექტაკლები

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ამ დღეებში მორიგ პრემიერად წარმოადგინა ვ. გაბესკირიას დრამა „ახალწლის ღამე“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია თ. წეროძე, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ახვერავა.

მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ყორეოლიანი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები კ. დაუშვილი, ე. სიბილა, მსახიობები ე. მაღლაფაშვილი, მ. მახვილაძე, ფ. სონღულაშვილი, ა. კობალაძე, თ. ციციშვილი, ლ. ვაჩნაძე, თ. ღამბაშიძე, მ. მგელაძე და სხვ.

მზადდება ახალი დადგმა და მალე თეატრის კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს ლ. გოთუას „მეფე ერეკლეს“.

მუსიკალური კომედიის თეატრში

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ე. უარკოვსკის მუსიკალური კომედია „სიყვარულის კვანძი“ (ლიბრეტო ვ. ვინიკოვის და ვ. კრახტისა, ქართული ტექსტი ო. ჭელიძისა).

დადგმა განახორციელა თეატრის მთავარმა რეჟისორმა შ. მესხმა, დირიჟორია კ. სირბილაძე, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დ. თავაძეს, ცეკვების დადგმა — დ. მაჟავარიანს.

მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ჩოხელი, მსახიობები თ. მერკვილაძე, ა. ყუფუნია, რ. ბერძენიშვილი, ნ. თულაშვილი, ო. ბახტაძე, ი. ბაკაური, დ. ხელაშვილი, ი. ქუთათელაძე, ი. პაპაშვილი და სხვ.

პმუამდე თეატრი მუშაობს ორი თანამედროვე ქართული ოპერეტის — გ. ცაბაძის „ახალი სიმღერისა“ და ა. კერესელიძის „სამი პატარძლის“ დადგმის განხორციელებაზე.

მოზარდ მაყურებელთა თეატრში

მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართულმა თეატრმა მორიგ პრემიერად ნორჩ მაყურებლებს უჩვენა სტალინური პრემიის ლაურეატის ს. მიხალკოვის პიესა „წითელი ყელსახვევი“.

სპექტაკლი დადგა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა-რეჟისორმა ნინა ხატისკაცმა, მხატვრობა ეკუთვნის შ. ჟორჟოლაძეს.

როლებს ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დ. ცხაკაია, მ. ერგნელი, ა. დვინიაშვილი, მსახიობები ე. ჩაჩავა, ა. კიკალეიშვილი, გ. სიხარულიძე, შ. ლორთქიფანიძე, ა. ჩხეიძე და ც. ქიტაიშვილი.

მეოგელთა უნივერსიტეტი თელავში

თელავი. (საკ. კორ.). მოსწავლეთა მშობლებს შორის პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდის მიზნით თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შეიქმნა მშობელთა საღამოს უნივერსიტეტი. აქ თელავის სკოლების მოსწავლეთა 350-ზე მეტი მშობელი მეცადინეობს.

მშობელთა საღამოს უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო-სასწავლო დარგში ნ. ჭორთოფალიკაძის კითხულობენ პროფესორები დ. კვესელავა და ტ. კაკუშაძე, დოცენტები ვ. ციხისთავი, ალ. გვენცაძე, ა. ავალიშვილი და ხ. ხინთიბიძე, თელავის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ნადაშვილი და სხვ.

პირველ მეცადინეობაზე მოსწავლეთა მშობლებმა მოისმინეს ლექციები ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლის ო. ტაბიძისა — „ბავშვის ნებისყოფის აღზრდა სკოლასა და ოჯახში“ და ა. მეტრეველისა — „საბჭოთა სკოლა მეექვსე ხუთწლედში“.

გენიჩესკელ და მახარაძელ კოლმეურნეთა სოციალისტური შეჯიბრება

საუბარი საქართველოს კოლმეურნეთა ... მახარაძის რაიკომის მდივანთან ამხ. შ. ჯანუაშვილთან

უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკისა და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის მშრომელები სათუთად ინახავენ ურთიერთ ტრადიციულ მეგობრობას. ამ მეგობრობას საფუძველი ჩაუყარეს გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის და მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა. ამ კოლმეურნეობათა მშრომელებმა თავიანთი ნეგობრობა საქმით განამტკიცეს როგორც დიდი სამამულო ომის, ისე მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში. 1954 წლის იანვრიდან გაჩაღდა შეჯიბრება ამ რაიონების 23 კოლმეურნეობასა და თვით რაიონებს შორის, აგრეთვე მახარაძისა და გენიჩესკის მტს-ებს შორის.

ამ შეჯიბრების ძალა იმაშია, რომ ორი მოძმე ხალხის ურთიერთ დახმარებით მიღწეულ იქნა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება. დაწესდა პარტიის რაიკომებისა და რესპუბლიკების აღმასკომების გარდამავალი წითელი დროშები და ნიზდა ამ დროშების ურთიერთგაცვლა. ეს დროშები ეძლევათ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობებს. ასეთი შეჯიბრებიდ მოწყობით ორივე რაიონმა დიდ წარმატებებს მიაღწია. მახარაძის რაიონის მშრომელებმა გასულ სამეურნეო წელს მოკრიფეს და საბელმწიფოს ჩაბარეს 24.785 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ გეგმა შეასრულეს 110 პროცენტით. თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიიღეს 907 ლიტრი რძე ნაცვლად ცენამით გათვალისწინებული 700 ლიტრისა. მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 17,4 ცენტნერი სიმინდი. წარმატებებია მოპოვებული სხვა დარგებშიც. ამიტომ მახარაძის რაიონი დამსახურებულად გახდა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ფართო ჩვენებით.

გენიჩესკის რაიონმა გასულ წელს სერიოზულ წარმატებებს მიაღწია მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების, ერთწლიანი კულტურების განვითარებისა და ბუნის მოყვანის საქმეში. ამ წარმატებებს უეჭველად ხელი შეუწყო ორივე რაიონს შორის გაჩაღებულმა შეჯიბრებამ. შეჯიბრების მონაწილე რაიონები ყოველ კვარტალში ადგენენ ანგარიშს კოლმეურნეობებისა და რაიონის მიხედვით და ერთმანეთს აცნობენ თუ რა წარმატებებია მოპოვებული ამ შეჯიბრების შედეგად.

ამასამად მახარაძის რაიონში იმყოფება გენიჩესკელთა დელეგაცია 105 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან მეცხოველეობის მუშაკები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, დელეგაციას ხელმძღვანელობს გენიჩესკის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ლებუნოვი. სტუმრები არა მარტო ეცნობიან შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, არამედ პრაქტიკულადაც ეხმარებიან ქართველ მეგობრებს მუშაობის უკეთ მოწყობაში, უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, მოუთითებენ ნაკლოვანებებზე და სჩანაენ მათი გამოსწორების გზებს.

მახარაძელებმა გენიჩესკელებს აღუთქვეს, რომ წელს მოწინავე კოლმეურნეობა ოჯახებს დაუმზადებენ 1.000 ძირ ლიმონს ყუთებით და ასწავლიან მოვლის წესებს. გენიჩესკში მახარაძის რაიონის სახელობის ქუჩა წელს სანიმუშოდ იქნება გამწვანებული; გენიჩესკში მახარაძელთა ძალებით მომავალ წელს გაშენდება 6 ჰექტარი ვენახი და ბაღი სახელოდებით „მეგობრობის ბაღი“, მოეწყობა სანერგე მეურნეობა.

უკრაინელმა მეგობრებმა თავიანთ მოძმეებს ჩამოუყვანეს 150 სული ჯიშიანი ღორი და 50 ჯიშიანი ძროხა. დღეს მახარაძეში მოეწყობა მეცხოველეობის დარგის მუშაკებს თათბირ-სემინარი, სადაც გენიჩესკელები თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ მახარაძელ მეცხოველეებს. თათბირ-სემინარზე დასასრულ იქნება პრაქტიკული ღონისძიებები მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისათვის. 15 მაისს მოეწყობა ძვირფასი სტუმრების გაცილებისადმი მიძღვნილი დიდი საღამო.

წელს მახარაძელებმა ვალდებულება იკისრეს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩაბარონ 25 მილიონი კილოგრამი ნარისხოვანი ჩაის ფოთოლი, თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიიღონ 1.200 ლიტრი რძე ნაცვლად გასულ წელს მიღებული 907 ლიტრისა, საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 20 ცენტნერი სიმინდი.

მახარაძელი და გენიჩესკელი მშრომელები კიდევ უფრო განამტკიცებენ ურთიერთმორის მეგობრობას, ფართოდ დანერგავენ გამოცდილებას და წარმატებით შეასრულებენ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულ დიად პროგრამას.

„კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენციები

რუსთავში შედგა „კომუნისტის“ მკითხველთა ხალხმრავალი კრება. მოხსენებით პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში გაზეთ „კომუნისტის“ ამოცანების შესახებ გამოვიდა „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე რ. ქურციკიძე.

მოხსენების გამო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ რ. ხარპედიამ, რუსთავის საქალაქო გაზეთის რედაქტორმა ს. ახვლედიანმა, მესამე სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის მოადგილემ ს. მეტრეველმა, ნოვატორმა კალატოზმა ა. წიკლაურმა, პედაგოგმა ლ. სუვოროვამ და სხვ.

კამათის მონაწილეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ გაზეთმა „კომუნისტმა“ მეტი ადგილი დაუთმოს მოწინავე მეტალურგების — მეფოლადეების, მებრძმედეების, მეკოქსეების, მგლინავების გამოცდილების ჩვენებას, აგრეთვე რუსთავის მშენებელთა შრომითი მიღწევების პოპულარიზაციას.

* * *

„კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში თელავში გაიმართა, მოხსენება გააკეთა „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა თ. კუნჭულიამ.

სიტყვით გამოსულმა თელავის მტს-ის პარტბიუროს მდივანმა ა. ორკოდაშვილმა აღნიშნა, რომ საჭიროა „კომუნისტმა“ უფრო ღრმად, თანმიმდევრულად გააშუქოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულების საკითხები. საინტერესო შენიშვნები გააკეთეს აგრეთვე თელავის ინსტიტუტის დოცენტმა ა. გვენცაძემ, IV საშუალო სკოლის მასწავლებელმა დ. კირვალიძემ, პარტიის რაიკომის ინსტრუქტორმა ნაფარეულის მტს-ის ზონაში ე. ჯაშიაშვილმა და სხვ.

* * *

ჭიათურაში გაიმართა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენცია, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ბ. თათარიშვილი.

ლენინის სახელობის მაღაროს პარტბიუროს მდივანმა ტ. ცარციძემ მოითხოვა „კომუნისტში“ მეტი რაოდენობით იბეჭდებოდეს თეორიული სტატიები ეკონომიკის საკითხებზე, აგრეთვე წერილები პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან.

საინტერესო წინადადებები წამოაყენეს აგრეთვე ინჟინერმა კ. ჭინჭველაშვილმა, საქალაქო გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქტორმა დ. ტატიშვილმა, ჭიათურის რაიონული გაზეთის „კომუნისტური სიტყვის“ რედაქტორმა ჯ. თოდრიამ და სხვ.

მოდით ჩვენთან, კოლმეურნეობაში...

ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სკოლების უფროსკლასელთა შეკრებაზე

კლუბის ფოიეში მოსწავლე გოგონები და ვაჟები შეკრებილან, წრე შეუკრავთ და ხმამაღლა საუბრობენ, ლაღად მღერიან.

კლუბში მოსულა ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის სკოლების 500-მდე უფროსკლასელი. შეკრება თემაზე — „შრომა ჩვენს ქვეყანაში ღირსების, სახელის, დიდებისა და გმირობის საქმეა“ — გახსნა საქართველოს ალკ კ თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომის მდივანმა ამხ. ე. ბადრიძემ. მოხსენებით გამოვიდა გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე შ. ბერაძე.

ტრიბუნაზეა ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამოჩენილი მწველავი ნ. ქაჯაია. მან ახალგაზრდებს მოუთხრო თავის შრომითს საქმიანობაზე, 20 წელიწადს მწველავად მუშაობის გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ მიიღო გასულ სამეურნეო წელს თვითეულ ძროხაზე 3.700 ლიტრი, ხოლო მიმდინარე წლის 1 მაისისათვის — 2.000-მდე ლიტრი რძე.

მწველავმა ქალმა მოსწავლეთა ტაშის გრიალში ასე დაამთავრა თავისი სიტყვა:

— ჩვენს ქვეყანაში შრომა დიდად არის დათასებული მეც სწორედ შრომამ შემიქმნა საამური ცხოვრება, ბედნიერი ოჯახი. ჩვენს ფერმაში სამეშოდ გასულ წელს მოვიდა ოთხი ქალიშვილი, რომლებმაც საუალო სკოლა დაამთავრეს. ჩვენ მათ ყოველმხრივ ვეხმარებით და ისინიც ხალისით შრომობენ. მოდით ჩვენთან — ფერმაში, თქვენც დაგეხმარებით!

ამ სიტყვებს მოსწავლეებმა ერთსულოვანი ტაშით უპასუხეს.

— გარეუბნის რაიონის ახალგაზრდები ამ 25 წლის წინათაც შევიკრიბეთ. მაშინ ჩვენი შეკრების მიზანი კულაკურ ბანდებთან ბრძოლა და კოლმეურნეობების ჩამოყალიბება იყო. ახლა კი თქვენი შეკრების მიზანია უკვე განმტკიცებულ კოლმეურნეობაში შრომითი მონაწილეობით ხელი შეუწყოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობას. — თქვა ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. დანელიამ.

ნორიოს საშუალო სკოლა გასულ წელს მრავალმა ახალგაზრდამ დაამთავრა ა. ზოგმა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო სწავლა, ხოლო ნაწილმა სოფელში დარჩენა ამჯობინა. მათგან შეიქმნა ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც შრომისმოყვარე ქალიშვილი კ. ძიძიკაშვილი ჩაუდგა სათავეში. ამ ბრიგადის წევრმა კომკავშირელმა უ. ოფურაშვილმა გასულ წელს 753 შრომადღე გამოიმუშავა. შრომადღეებზე 30 ცენტნერი მარცვლეული, აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და 4.000 მანეთამდე ფული მიიღო. შრომადღეებზე მიღებულ პროდუქტებს თუ ფულზე გადავიანგარიშებთ, მას თვიურად 1.400 მანეთზე მეტი მიუღია. ოფურაშვილის ოჯახი ბედნიერად ცხოვრობს. მას ეს ბედნიერება საკოლმეურნეო შრომამ დაუმკვიდრა.

არა მარტო გარეუბნის რაიონში, არამედ მთელ რესპუბლიკაშიც გაითქვა სახელი კომკავშირელმა მაყვალა გვარიანაშვილმა. მან გასულ სასწავლო წელს დაამთავრა მარტყოფის საშუალო სკოლა, რის შემდეგ მუშობა დაიწყო მშობლიური სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო შრომით მოიპოვა მუყაითი და გამრჯე ახალგაზრდის სახელი. კოლმეურნე ახალგაზრდებმა იგი პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად აირჩეს. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ გვარიანაშვილს, რომელმაც ხალისით გაუზიარა მათ ის სიხარული, რაც საკოლმეურნეო შრომამ მიანიჭა.

— მე შრომამ გამახალისა. კოლმეურნეობაში მუშობასთან ერთად ვემზადები იმისათვის, რომ დაუსწრებლად მივიღო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება. ჩვენი ქვეყნის მრავალი ახალგაზრდა გაემგზავრა უამრავ მიწებზე. ისინი იქ ახალ ცხოვრებას ქმნიან. ჩვენს რაიონშიც არის აუთვისებელი მიწები. მოდით ერთიანი ძალით ავითვისოთ ეს მიწები! — ასე დაასრულა თავისი გამოსვლა გვარიანაშვილმა.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა რკინიგზელი მუშა, 1905-1907 წლების რევოლუციის მონაწილე ი. გალუსტოვი, რომელსაც მოსწავლეები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ქართველი მწერლების სახელით მოსწავლეებს მიესალმა და ლექსი წაიკითხა პოეტმა თ. ჯანგულაშვილმა.

ახალგაზრდობის სახელით გამოვიდნენ კოჯრის სამუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე ნ. დემიანენკო და ავჭალის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლე მ. ჭანტურია. მათ უფროსკლასელთა სახელით პირობა დადეს, რომ ბეჯითად ისწავლიან, იმუშავებენ იქ, სადაც დედა სამშობლო, კომუნისტური პარტია მოუწოდებენ.

დასასრულ გაიმართა კონ

როგორ სრულდება ჟენევის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ

როგორც წინათ უკვე ვიუწყებოდით, ა. წ. აპრილ-მაისში ლონდონში მოლაპარაკება ჰქონდათ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს ა. ა. გრომიკოსა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ლორდ რედინგს, რომლებიც ჟენევის იმ თათბირის ორი თავმჯდომარის წარმომადგენლები არიან, რომელიც 1954 წელს გაიმართა ინდოჩინეთის შესახებ.

მოლაპარაკების მსვლელობაში გადაწყდა გაეგზავნათ სპეციალური წერილები ორი თავმჯდომარის — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სელვინ ლოიდის სახელით, მიმართული ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობებისადმი, ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისისა და საფრანგეთის მთავრობისადმი.

9 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნეს ეს წერილები შესაბამის მთავრობებს, აგრეთვე ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს და იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან ვიეტნამის სანეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიაში.

ქვემოთ ქვეყნდება ამ დოკუმენტების ტექსტები.

ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის წერილი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობებისადმი

დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა რწმუნებით დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი ლორდი რედინგი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, რომლებიც ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის წარმომადგენლები არიან, ერთმანეთს შეხვდნენ ლონდონში და გულდასმით განიხილეს საკითხები, რომლებიც შეეხება ვიეტნამის შესახებ ჟენევის შეთანხმებათა განხორციელებას. მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აგრეთვე იმ წინადადების შესახებ, რომ ნოეფყოს ახალი თათბირი ჟენევის პირველი თათბირის მონაწილე ქვეყნებისა და საერთაშორისო კომისიის წევრი ქვეყნების შემადგენლობით ამ საკითხებისა ვანსახილველად.

გამართული საუბრების მსვლელობაში მათ აღნიშნეს, რომ შემაშფოთებელია მდგომარეობა, რომელიც ამჟამად შეიქმნა ჟენევის შეთანხმებათა შესრულების მხრივ ვიეტნამში, სადაც დღემდე არ დაწყებული ჟენევის შეთანხმებათა პოლიტიკური პირობების განხორციელება. კერძოდ, არ გამართულა კონსულტაციები იმის შესახებ, რომ მომზადდეს და მოიწყოს სრულიად ვიეტნამის თავისუფალი არჩევნები საერთაშორისო კომისიის კონტროლით ვიეტნამის ეროვნული ერთიანობის აღდგენის მიზნით, რის გამო ჟენევის შეთანხმებათა ამ უმნიშვნელოვანესი პირობის შესრულება ამჟამად საფრთხეშია, თუმცა ორივე მხარე ვიეტნამში დაეთანხმა თავისუფალი საყოველთაო არჩევნების გზით ეროვნული გაერთიანების პრინციპს.

ვიეტნამის გაერთიანებისათვის თავისუფალი საყოველთაო არჩევნების მოწყობის მოლოდინში, ორი თავმჯდომარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიეტნამში დაზავების დაცვას საერთაშორისო კომისიის განუწყვეტელი კონტროლით. ისინი აღიარებენ, რომ საფრანგეთის კავშირის უმაღლესი სარდლობის დაშლამ გაადიდა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის სიძნელენი ჟენევის შეთანხმებებით გათვალისწინებული ფუნქციების განხორციელებაში, რომლებიც, რომ ეს სიძნელენი ნაწილობრივ ხელისუფლებამ ან ადგილობრივ ადმინისტრაციებმა ხელოვნურად ან ობიექტურ მიზეზთა გამო, ვერ ან არ შეიძლება მოიგვაროს, ორი თავმჯდომარე ამ საკითხებს ადგილობრივ ადგილზე ადგილობრივ ადმინისტრაციებთან ერთად ან ცალცალკე ეცდებიან ადგილზე მოგვარებას. ეს ეხება, კერძოდ, ინდოჩინეთის ეროვნული ერთიანობის აღდგენის ამოცანას, ინდოჩინეთიდან საფრანგეთის ჯარების ევაკუაციას, ინდოჩინეთში ბრძოლის შეწყვეტის ხელშეკრულებიდან ინდოჩინეთის ეროვნული ერთიანობის აღდგენამდე ინდოჩინეთიდან ინდოჩინელ ეროვნულ ჯარებზე ინდოჩინეთის ტერიტორიის ნაწილის გადაცემ